ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2/ო

"25" „04" 2017 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1ერთის მხრივ, **სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თამილა ზარკალაიას სახით და მეორეს მხრივ ფ. პ. „მერი მაღლაფერიძე" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მერი მაღლაფერიძის სახით.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა" განახორციელა გამარტივებული შესყიდვა ფონდსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდს (UNFPA) შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში პროექტის „ჯანდაცვის რეაგირება (პასუხი) ოჯახში ძალადობაზე/გენდერულ ძალადობაზე" – სოციოლოგიური კვლევის მომსახურების (კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი - CPV-**79300000** - ბაზრის კვლევა და ეკონომიკური კვლევა; გამოკითხვები და სტატისტიკა ; კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი **79315000** - სოციალური (სოციოლოგიური) კვლევა) შესყიდვაზე და „მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება **3400** (სამი ათასოთხასი) ლარად (შემდგომში–„ხელშეკრულების ღირებულება").

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

3.1.1 კახეთის რეგიონში ჯანდაცვის მუშაკების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ოჯახში ძალადობის /ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ;

3.1.2. ორგანიზაციული უნარჩვევების შეფასება და საჭიროებების გამოკვეთა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების კუთხით;

3.1.3. არსებული პროგრამული დოკუმენტებისა და ლიტერატურის მიმოხილვა;

3.1.4. ჯანდაცვის მუშაკების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების შესაფასებლად კითხვარის შემუშავება;

3.1.5. ინტერვიუების ჩატარება შერჩეულ სამიზნე ჯგუფთან;

3.2. მომსახურების ღირებულება სულ შეადგენს 3400 (სამი ათას ოთხას) ლარს. მათ შორის 2720 (ორი ათას შვიდასოცი) ლარი ხელზე ასაღები თანხა ხოლო 680 (ექვსასოთხმოცი) ლარი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადი.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2. მომსახურების დასრულებისას მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს კვლევის შედეგად შეკრებილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მთლიანი ანგარიში და გამართული პროექტის მონიტორინგის ჩარჩო.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტით

5.2. მომსახურების დასრულების შემდეგ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემსყიდველს კვლევის შედეგად შეკრებილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მთლიანი ანგარიში და გამართული პროექტის მონიტორინგის ჩარჩო, რაზეც გაფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;
6.3. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტის და ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.2. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის" მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, 7.2. „შემსყიდველი"ვალდებულია:
7.2.1.უზრუნველყოს „მიმწოდებლის" სრული და დროული დაფინანსება.
7.2.2.დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება
8.1მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.1.1. მოითხოვოს მომსახურების განსახორციელებლად შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი.
8.1.2. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
8.2.2. უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამოარ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების
შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული
შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების დაფასების გადასინჯვა
10.1თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან
დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით
მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარე ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების) შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13,2 . ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;
13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2. ხელშეკრულების 13.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
14.1.3.საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის შტატგარეშე თანამშრომელი, პროექტის „ჯანდაცვის რეაგირება (პასუხი) ოჯახში ძალადობაზე/გენდერულ ძალადობაზე" კოორდინატორი თამარ ბორცვაძე.
15.2. წიმანდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით განსაზღვრული პირის ფუნქციებია:
15.2.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხვედველობის განხორციელება;

15.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, ინსპექტირების დასკვნის და ,,მიღება-ჩაბარების აქტის'' გაფორმება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის18 აგვისტოს ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', სამი _ ,,შემსყიდველთან'.'

„შემსყიდველი“
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”
ქ. თბილისი თამარაშვილის #15ა
სახელმწიფო ხაზინა
კოდი № TRESGE22
ა/ა №GE24NB0330100200165022
ს/კ № 205169592

თამილა ბარვალაია
დირექტორი

„მიმწოდებელი“
ფ.პ. „მერი მაღლაფერიძე“
ქ. თბილისი, ა. ჩიქოვანის 36 ბინა 14.
ს.ს. „თიბისი ბანკი“
კოდი TBCBGE22
ა/ა GE12TB7020645066300001
პ/ნ 01015006344

მერი მაღლაფერიძე
ფიზიკური პირი